	მე-11 სტრიქონში უნდა ჩაიწეროს საანგარიშგებო თარიღისთვის მიკრობანკის მიერ ნაკისრი კაპიტალურ დანახარჯების პოტენციური სახელშეკრულებო ვალდებულების ოდენობა.
	5.3.5 , 5.7 , 9.6 და 9.7-ე სტრიქონების შევსების შემთხვევაში დამატებით უნდა განიმარტოს ამ ველებში მიკრობანკის მიერ შეყვანილი თანხების შესახებ მატერიალური ინფორმაცია. გარდა ამისა, საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილია ნებისმიერ შევსებულ სტრიქონს დაურთოს
	განმარტებები გვერდისთვის 5. RWA, ცხრილი 5
	(T) სვეტი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები **მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინებით** საანგარიშგებო პერიოდის (კვარტლის) ბოლოს, გაანგარიშებული ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს შესაბამისად.
	(T-1) სვეტი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები **მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინებით** საანგარიშგებო კვარტლის წინა კვარტლის ბოლოს.
	(1.1.1) სტრიქონი - მნიშვნელოვანი ინვესტიციები (ბანკის საკუთარი კაპიტალის 10%-ზე მეტი) არაკონსოლიდირებულ კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში და გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც არ გამოიქვითა ძირითადი პირველადი კაპიტალიდან და იწონება 250%-ით (მუხლი 45, პუნქტი 3)
	განმარტებები გვერდისთვის 6. Administrators-Shareholders, ცხრილი 6
	ცხრილის მიზნებისათვის მიკრობანკებმა უნდა იხელმძღვანელონ ბენეფიციარი მესაკუთრის კანონმდებლობით გათვალისწინებული განმარტებით: პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია
	განმარტებები გვერდისთვის 7. LI1, ცხრილი 7
	სტრიქონები:
	სტრიქონების თანმიმდევრობა მკაცრად მიჰყვება საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული სტანდარტიზებული საბალანსო უწყისის ფორმატს.
	სვეტები:
	(a) სვეტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ემთხვეოდეს SOFP ცხრილში აქტივების საანგარიშგებო პერიოდის ჯამურ საბალანსო ღირებულებებს.
	(b) სვეტში წარმოდგენილი უნდა იყოს ელემენტების ოდენობები, რომლებზეც არ ვრცელდება კაპიტალის მოთხოვნა, ან რომლებიც დაქვითულია საზედამხედველო კაპიტალიდან მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების მე-6 მუხლის მიხედვით. აღნიშნულ სვეტში შევსებული ოდენობები უნდა ედრებოდეს საზედამხედველო კაპიტალის ცხრილში (Capital) ძირითადი პირველადი კაპიტალის, დამატებითი პირველადი კაპიტალის და მეორადი კაპიტალის შესაბამის საზედამხედველო კორექტირებებს (გარდა იმ კორექტირებებისა, რომლებიც არ ეხება აქტივებს).
	(c) სვეტში წარმოდგენილი უნდა იყოს ელემენტების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების მე-4 თავის მიხედვით, გარდა LI 2 ცხრილის მე-4 პუნქტში მითითებული
	განმარტებები გვერდისთვის 8. LI2, ცხრილი 8
	სტრიქონები:
	1-ელ სტრიქონში (საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება კორექტირებებამდე) წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ემთხვეოდეს LI 1 ცხრილის "e" სვეტში წარმოდგენილ ჯამურ ოდენობას.

	2.1. სტრიქონი (საკრედიტო რისკით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება (ცხრილი CRME)) მოიცავს იმ გარესაბალანსო ელემენტების ღირებულებას, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას.
	2.2 სტრიქონი (კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება (ცხრილი CCR)) მოიცავს იმ ელემენტების ნომინალურ ღირებულებას, რომლებიც ექვემდებარება კონტრაგენტთან დაკავშირებული
	მე-3 სტრიქონი (საკრედიტო რისკით შეწოვას დაქვემდებარებული საბალანსო და არა-საბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება კორექტირებებამდე) მოიცავს (1)-დან (2.2)-მდე სტრიქონების ოდენობების ჯამს
	მე-4 სტრიქონი (კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის გაუფასურებასთან დაკავშირებული საზედამხედველო კორექტირებების ეფექტი) მოიცავს საერთო რეზერვთან (და სხვა რეზერვთან) დაკავშირებულ კორექტირებებს
	5.1 სტრიქონი (საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი (ცხრილი CRME)) მოიცავს გარესაბალანსო ელემენტის ნომინალური ღირებულების პროცენტულ შემცირების ეფექტს კაპიტალის ადეკვატურობის
	5.2 სტრიქონი (კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების (PFE - პოტენციური მომავალი რისკის პოზიციის ღირებულება) საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი (ცხრილი CCR)) მოიცავს ინსტრუმენტის ნომინალური
	მე-6 სტრიქონი (სხვა კორექტირებების ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) მოიცავს ყველა სხვა აუცილებელ კორექტირებას, რაც საჭიროა საზედამხედველო მიზნებისთვის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციების მიღებისთვის (რაც მითითებულია მე-8
განმარტებები გვერდისთვის 9. Capital, ცხრილი 9	
	ცხრილში მოთხოვნილი ინფორმაცია შეესაბამება ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებულ კაპიტალის ადეკვატურობის დებულებას.
განმარტებები გვერდისთვის 10. CC2, ცხრილი 10	
	ამ ცხრილის მიზანია საბალანსო ელემენტებიდან გამოაჩინოს ის ნაწილები რომლების მონაწილეობას ღებულობენ საზედამხედველო კაპიტალის ფორმირებაში: მისი შემადგენელი კომპონენტების (მაგ. გაუნაწილებელი მოგება, სუბორდინირებული ვალი და ა.შ.) თუ დაქვითვების სახით (მაგ. გუდვილი,
	მე-2 სვეტში (საბალანსო ღირებულება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ფასს-ის სტანდარტების მიხედვით) უნდა შეიავსოს პირველი სვეტის (სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების საბალანსო ელემენტები) საბალანსო ელემენტების შესაბამისი ოდენობები.
	გარკვეულ შემთხვევებში, საჭირო იქნება საბალანსო ელემენტების განვრცობა, რათა მოხდეს იდენტიფიცირება ყველა იმ ელემენტისა, რომელიც მე-9 ცხრილშია (Capital) მოცემული.
	მოცემულ მაგალითში წარმოდგენილია განვრცობის შემთხვევაც: მე-9, მე-10 და 21-ე მუხლების ქვემოთ დამატებულია ამ მუხლების შემადგენელი ნაწილები (9.1, 9.2, 9.3, 10.1 და 21.1), რომლებიც მონაწილეობას იღებს საზედამხედველო კაპიტალის გამოანგარიშებაში (Capital-ის ცხრილში). რაც უფრო კომპლექსურია ბანკის საზედამხედველო კაპიტალის შემადგენლობა (Capital ცხრილი), მით უფრო მეტი ელემენტების წარმოდგენის და განვრცობის საჭიროება არის CC2 ცხრილში. ყოველ ელემენტს უნდა მიენიჭოს Capital-ის ცხრილის შესაბამის ელემენტთან კავშირი. თუკი ასეთი გავრცობა მიკრობანკისთვის არ არის რელევანტური, შესაძლებელია აღნიშნული შემადგენელი ნაწილების შესაბამისი სტრიქონების წაშლა. (მაგალითად, თუკი მიკრობანკს არ აქვს მეორად კაპიტალში ჩართული არცერთი სუბორდინირებული ვალდებულება, აღნიშნული ჩაშლის მაგალითი უნდა წაიშალოს, ხოლო თუ დამატებით AT1-ის შემადგენელი სუბორდინირებული ვალდებულება აქვს, მაშინ შესაბამისი სტრიქონი დაამატოს).
	ცხრილებს შორის კავშირის მითითებისთვის გამოიყენება ველი "კავშირი Capital-ის ცხრილთან", სადაც თითოეული განვრცობილი მუხლის შემთხვევაში უნდა მიეთითოს Capital-ის ცხრილის შესაბამისი მუხლი. მოცემულ მაგალითში 10.1 ჩამატებული მუხლის გასწვრივ Capital-ის ცხრილთან კავშირის ველში მითითებულია კავშირი ("ცხრილი 9 (Capital), N 10"), რაც მიუთითებს, რომ CC2 ცხრილის 10.1 ჩამატებული მუხლი რომელიც არის CC2 ცხრილის მე-10 საბალანსო მუხლის შემადგენელი ნაწილი შეესაბამება Capital-ის ცხრილში არსებულ მე-10 მუხლს, რაც წარმოადგენს არამატერიალური აქტივების დაქვითვას ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.
	ა) CC2 ცხრილის საბალანსო უწყისის ელემენტების შესაბამისი ოდენობები გავრცობამდე უნდა ემთხვეოდეს SOFP ცხრილის საანგარიშგებო პერიოდის ჯამურ ოდენობებს
	ბ) CC2-ში ყოველი დამატებული ელემენტისთვის მინიჭებული უნდა იყოს Capital ცხრილის შესაბამისი ელემენტის მინიშნება
	გ) CC2 ცხრილის მიზნებისთვის, განვრცობა არ ნიშნავს აუცილებლად ჩაშლას. შესაბამისად, არ არის სავალდებულო, რომ ახალი (განვრცობილი) ელემენტების ჯამი ედრებოდეს შესაბამისი საბალანსო მუხლის შესაბამის ოდენობას.
განმარტებები გვერდისთვის "11. CRWA", ცხრილი 11	
	ცხრილში მოთხოვნილი ინფორმაცია შეესაბამება ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებულ კაპიტალის ადეკვატურობის დებულებას.
	ცხრილის A–P სვეტებში უნდა ჩაიწეროს რისკის პოზიციების ღირებულება შესაბამის რისკის წონაზე გადამრავლებამდე. გარესაბალანსო ელემენტებისთვის რისკის პოზიციის ღირებულება წარმოადგენს ნომინალური ღირებულების კრედიტ კონვერსიის ფაქტორზე ნამრავლს.
	Q სვეტში "საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციამდე" ჯამდება შესაბამის რისკის წონებზე გამრავლებული საბალანსო და გარესაბალანსო რისკის პოზიციები;
განმარტებები გვერდისთვის "12. CRM", ცხრილი 12	
	ცხრილში მოთხოვნილი ინფორმაცია შეესაბამება ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებულ კაპიტალის ადეკვატურობის დებულებას.
	C-S სვეტებში (ექსელის ნუმერაციით) ჯამურად უნდა აისახოს როგორც საბალანსო, ისევე გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო რისკის მიტიგაცია
	E სვეტი მოიცავს: ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლის საკრედიტო ხარისხი სეგ–ის მიერ დადგენილი ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შეწონვის წესით შეესაბამება მე–4 ან უკეთეს ბიჯს; რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეიწონება იმ ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციების ანალოგიურად, რომლის იურისდიქციაშიც ისინი დაარსდნენ; საჯარო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეიწონება ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციების ანალოგიურად; მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ენიჭებათ 0% რისკის წონა; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ენიჭებათ 0% რისკის წონა.
	T სვეტში (ექსელის ნუმერაციით) უნდა ჩაიწეროს ჯამურად საბალანსო ელემენტების საკრედიტო რისკის მიტიგაცია
	U სვეტში (ექსელის ნუმერაციით) უნდა ჩაიწეროს ჯამურად გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო რისკის მიტიგაცია
განმარტებები გვერდისთვის "13. CRME", ცხრილი 13	
	ცხრილში მოთხოვნილი ინფორმაცია შეესაბამება ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებულ კაპიტალის ადეკვატურობის დებულებას.
	ცხრილის A სვეტში აისახება საბალანსო ელემენტების რისკის პოზიციების ღირებულება, შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვამდე;
	ცხრილის B სვეტში აისახება გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება, კრედიტ კონვერსიის ფაქტორზე გადამრავლებამდე;
	ცხრილის C სვეტში აისახება გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება, კრედიტ კონვერსიის ფაქტორზე გამრავლების შემდეგ, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვამდე;
	ცხრილის D სვეტში აისახება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციამდე, როგორც საბალანსო ისევე გარესაბალანსო (**ჯამურ** ემატება სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები)
	ცხრილის E სვეტში აისახება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის გათვალისწინებით, როგორც საბალანსო ისევე გარესაბალანსო (**ჯამურ** ემატება სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
	ცხრილის F სვეტში გამოითვლება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიმკვრივე ფორმულით: F=E(A+C). სიმკვრივე უნდა გამოისახოს პროცენტულად
განმარტებები გვერდისათვის " .LCR", ცხრილი 14	
სვეტები	
2 ფიზიკური პირების დეპოზიტები	ფიზიკური პირების დეპოზიტები რომელიც LCR-ის მიზნებისთვის შედის არაუზრუნველყოფილი დაფინანსების ჯგუფში A.1
3 არაუზრუნველყოფილი საბიუმო დაფინანსება	არაუზრუნველყოფილი დაფინანსება (A.1) გარდა ფიზიკური პირების დეპოზიტებისა
4 უზრუნველყოფილი დაფინანსება	LCR მიზნებისთვის არსებული უზრუნველყოფილი დაფინანსება (A.2)
5 ბალანსგარეშე ვალდებულებები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა მოკლე	LCR მიზნებისთვის არსებული ბალანსგარეშე ვალდებულებებისა (A4) და სხვა გადინებაში (A3) შემავალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა მოკლე პოზიციის ჯამი
6 სხვა საკონტრაქტო გადინება	სხვა საკონტრაქტო გადინება, რომელიც დაკავშირებულია დამტკიცებული გაცემული სესხების ათვისებასთან 30 დღიან პერიოდში და არ შედის ზემოაღნიშნულ კატეგორიებში
7 სხვა გადინება	სხვა გადინება გარდა ზემოაღნიშნულ კატეგორიებში შემავალი მუხლებისა
8 ფულის სხვა შემოდინება	LCR-ის მიზნებისთვის ფულის სხვა შემოდინებას (B.3) დამატებული "ბალანსგარეშე ვალდებულებები, შემოდინების ნაწილი" (B.4)
განმარტებები გვერდისთვის 15. CCR, ცხრილი 15	
	ცხრილში მოთხოვნილი ინფორმაცია შეესაბამება ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებულ კაპიტალის ადეკვატურობის დებულებას.
განმარტებები გვერდისთვის 16. NSFR ცხრილი 16	
	ცხრილი ივსება სეგ-ის მიერ შემუშავებული წმინდა სტაბილური კოეფიციენტის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კვარტლის ბოლო დღის მდგომარეობით.
	ცხრილის C-F სვეტებში აისახება მოცემული მუხლების შესაბამისი შეეწონავი ღირებულებები. თითოეული მუხლი ნაწილდება ნარჩენი ვადიანობის მიხედვით შესაბამის კალათაში. თავისუფალი მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები სრულად დაკლასიფიცირდება უვადო კალათაში.

	ცხრილის G სვეტში აისახება ღირებულებები, რომლებიც შეწონილია სებ-ის სტანდარტული NSFR ფორმის შესაბამისი ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსებისა და სტაბილური დაფინანსების საჭიროების კოეფიციენტებით.	
	განმარტებები გვერდებისთვის "17-26"	
	ზოგადი განმარტებები	
1	სტრიქონებში რისკის კლასები მე-17 და მე-18 ცხრილისთვის განიმარტება მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.	
2	რისკის პოზიცია - მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების შესაბამისად.	
3	აქტივების წმინდა ღირებულება - აქტივების ღირებულება IFRS 9-ით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლების შემდეგ	
4	მთლიანი ღირებულება - აქტივების ღირებულება IFRS 9-ით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე	
5	საკრედიტო რისკის დონე განისაზღვრება IFRS 9-ის შესაბამისად	
6	22-ე და 25-ე ცხრილებისთვის გარესაბალანსო ვალდებულებები შეივსება ნომინალური ღირებულებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე	
7	მე-19 ცხრილში სესხების/აქტივების განაწილება უნდა მოხდეს დაფარვის წყაროს სექტორის/კონტრაგენტის ტიპის მიხედვით ქვემოთ მოცემულ 9.01-9.27 პუნქტებში. ინვესტიციების შემთხვევაში შესაბამისი კომპანიის საქმიანობის სექტორის მიხედვით. საცალო სეგმენტის შემთხვევაში გადანაწილება მოხდება იმ სექტორში საიდანაც ღებულობს მსესხებელი შემოსავალს. მაგ: "საბითუმო ლომბარდი"-ს სექტორში მოხვდება ლომბარდებში დასაქმებული მსესხებლების სესხები/აქტივები და ა.შ. 24-ე ცხრილში სესხების განაწილება უნდა მოხდეს დაფარვის წყაროს სექტორის მიხედვით ქვემოთ მოცემულ 9.01-9.26 პუნქტებში. საცალო სეგმენტის შემთხვევაში გადანაწილება მოხდება იმ სექტორში საიდანაც ღებულობს მსესხებელი შემოსავალს. მაგ: "საბითუმო ლომბარდი"-ს სექტორში მოხვდება ლომბარდებში დასაქმებული მსესხებლების სესხები და ა.შ.	
8	უმოქმედო აქტივი/სესხი	IFRS 9-ის კლასიფიკაციის შესაბამისად, მე-3 დონის საკრედიტო რისკის და შეძენილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტები (POCI)
9.01	სახელმწიფო ორგანიზაციები	სახელმწიფო ინსტიტუტები და სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები. ამასთან დაფარვის წყარო უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. მე-19 ცხრილის მიზნებისთვის სახელმწიფო ორგანიზაციების სექტორში მოხვდება აქტივები ცენტრალურ ბანკებში.
9.02	საფინანსო ინსტიტუტები	კომერციული ბანკები, მიკრობანკები, სადაზღვევო, სალიზინგო და საინვესტიციო კომპანიები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სპეციალურ სქემები, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები და სხვა საფინანსო ორგანიზაციები. გარდა ლომბარდებისა. მე-19 ცხრილის მიზნებისთვის საფინანსო ინსტიტუტების სექტორში მოხვდება აქტივები კომერციულ ბანკებში და მიკრობანკებში.
9.03	საბითუმო ლომბარდი	ძვირფასი ლითონებითა და ქვებით უზრუნველყოფილი ლომბარდული ბიზნეს საქმიანობა.
9.04	უძრავი ქონების დეველოპმენტი	საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების დეველოპმენტი (უძრავი ქონების რეალიზაცია ან/და მშენებლობა).
9.05	უძრავი ქონების მენეჯმენტი	უძრავი ქონების გაქირავება და მასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.
9.06	სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	სამშენებლო და სარემონტო კომპანიები, გზების, ხიდების, ჰესების, პარკებისა და სარეკრეაციო ზონების, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-განვითარებაში მონაწილე პირები, გარდა უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორში მოხვედრილი პირებისა.
9.07	სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება ან/და აღნიშნული მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა.
9.08	სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა	დისტრიბუცია, საბითუმო და საცალო ვაჭრობა. მაგალითად, საკვები პროდუქტები, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, მარცვლეული პროდუქტები, თევზეული, ხორცისა და რძის პროდუქტები, სარეცხი და ჰიგიენური საშუალებები, სხვა სამომხმარებლო საქონელი.
9.09	სამომხმარებლო საქონლის წარმოება	სამომხმარებლო საქონლის წარმოება. მაგალითად, საკვები პროდუქტები, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, წისქვილკომბინატები, ხორცისა და რძის პროდუქტები, სარეცხი და ჰიგიენური საშუალებები, სხვა სამომხმარებლო საქონელი.
9.10	ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის წარმოება და ვაჭრობა	მაგალითად, ავეჯი, ელექტრო ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, ციფრული ტექნიკა და სხვა.
9.11	ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ექსპორტი და იმპორტი: ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ტექსტილის ნაწარმი და სხვა.
9.12	ვაჭრობა (სხვა)	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ექსპორტი და იმპორტი: სხვა პროდუქცია, რომელიც არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნულ სექტორებში.
9.13	წარმოება (სხვა)	სხვა საწარმოები, რომელიც არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნულ სექტორებში.
9.14	სასტუმროები და ტურიზმი	სასტუმროების მენეჯმენტი, ტურისტული კომპანიები და სხვა დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.
9.15	რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	რესტორნები, ბარები, კაფეები, სწრაფი კვების ობიექტები და სხვა.
9.16	მძიმე მრეწველობა	სამთო–მომპოვებელი საწარმოები (გარდა სამშენებლო მასალისა), მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩარხთმშენებლობა და სხვა მძიმე მრეწველობა.
9.17	ბენზინგასამართი სადგურები და ბენზინის იმპორტიორები	ბენზინის დისტრიბუცია, წარმოება, იმპორტი და ექსპორტი.
9.18	ენერგეტიკა	გაზის და ელექტროენერგიის დისტრიბუცია, წარმოება, იმპორტი და ექსპორტი, ასევე ყველა პირი, რომელიც ჩართულია ენერგეტიკის სექტორში (გარდა - ბენზინგასამართი სადგურების და ბენზინის იმპორტიორებისა).
9.19	ავტომობილების დილერები	ავტომობილებით ვაჭრობა.
9.20	ჯანდაცვა	საავადმყოფოების, კლინიკების და სხვა სამედიცინო გამაჯანსაღებელი კომპლექსები.
9.21	ფარმაცევტიკა	აფთიაქები და საყფთიაქო ქსელები, წამლების წარმოება, წამლების დისტრიბუცია.
9.22	ტელეკომუნიკაცია	სატელეფონო კომპანიები, ინტერნეტ პროვაიდერები, სატელევიზიო მაუწყებლობა, საკაბელო ტელევიზიები და სხვა.
9.23	სერვისი	მაგალითად, ავტომობილების შეკეთება და მომსახურება, რეკლამა, ელექტრონული და ბეჭდვითი პრესა, სტამბა, გამომცემლობა, ტრანსპორტი, ლოჯისტიკა, სილამაზის სალონი, სათამაშო და გასართობი ბიზნესი, საბაჟო ტერმინალები, განათლება, საინფორმაციო ცენტრები, საშუამავლო მომსახურება და სხვა.
9.24	სოფლის მეურნეობის სექტორი	ფერმერები და აგრო სექტორის მომსახურე კომპანიები: მეფრინველეობის ფაბრიკები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფერმები, თევზის რეწვა, მეტყევეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა, მეფუტკრეობა, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციები და სხვა ფერმერული მეურნეობები.
9.25	სხვა	ყველა სახის მომსახურება, ვაჭრობა და წარმოება რომელიც არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნულ სექტორებში, მათ შორის ჯართის ბიზნესი.
9.26	აქტივები/სესხები, რომლებზეც არ არის აღრიცხული დაფარვის წყაროს სექტორი	"აქტივები/სესხები, რომლებზეც არ არის აღრიცხული დაფარვის წყაროს სექტორი" მოხდება ის აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ იდენტიფიცირებადი დაფარვის წყარო, თუმცა ანგარიშგების თარიღისთვის არ არის აღრიცხული შესაბამისი სექტორი.
9.27	სხვა აქტივები	მე-19 ცხრილის მიზნებისთვის "სხვა აქტივებში" მოხდება აქტივები, რომლებსაც არ აქვთ იდენტიფიცირებადი დაფარვის სექტორი, (მაგალითად ძირითადი საშუალებები, ნაღდი ფული და სხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე აქტივები)
	განმარტებები გვერდებისთვის "17"	
1	ცხრილში შეივსება შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციების ღირებულებები ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. გრაფიკიანი რისკის პოზიციების შემთხვევაში, პოზიცია მოხდება ბოლო შენატანის შესაბამის ინტერვალში.	
2	"მოთხოვნამდე" - სვეტში შეივსება საქართველოს ეროვნულ ბანკში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშები, ერთდღიანი სესხები ან/და განთავსებული დეპოზიტები, სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში, ფული და მისი ექვივალენტები,	
3	"განუსაზღვრელი დაფარვის ვადით" - სვეტში შეივსება რისკის პოზიციები რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული დაფარვის ვადა, გარდა "მოთხოვნამდე" ველში მითითებული რისკის პოზიციების. მაგ: ძირითადი საშუალებები და სხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე რისკის პოზიციები.	
	ცხრილი "18 -19"	
1	ცხრილებში საბალანსო ელემენტების მთლიანი ღირებულებების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, ზოგადი რეზერვების, პერიოდის მანძილზე კუმულაციური ჩამოწერის და აქტივების წმინდა ღირებულების განაწილება მოხდება რისკის კლასების და დაფარვის წყაროს სექტორის/კონტრაგენტის	
2	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	IFRS 9-ის შესაბამისად. არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხების აუთვისებელ ნაწილზე
3	ზოგადი რეზერვი	თუ ზოგადი რეზერვი არ არის შექმნილი კონკრეტულ კლასში/სექტორში შემავალ აქტივებზე, მისი მითითება მოხდება მხოლოდ ჯამის მაჩვენებელი G21 და G34 უჯრებში, მე-18 და მე-19 ცხრილებში შესაბამისად.
4	კუმულატიური ჩამოწერა ანგარიშგების პერიოდზე	ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან ჩამოწერილი აქტივების მთლიანი ღირებულება. შეივსება შესაბამის კვარტლის ინფორმაცია.
	ცხრილი "20"	

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	IFRS 9-ის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული სესხებისთვის და ფასიანი ქაღალდებისთვის, ნომინალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ცვლილებები დაითვლება კვარტლის ბოლოს არსებული კურსით, ხოლო კურსთა შორისი სხვაობა დაბალანსდება შესაბამისი ცვლილების ველში (მე-4 სტრიქონი). არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხების აუთვისებელ ნაწილზე
	ცხრილი "21"	
	შეივსება შესაბამის კვარტლის ინფორმაცია. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული სესხებისთვის, ნომინალში ცვლილებები დაითვლება კვარტლის ბოლოს არსებული კურსით, ხოლო კურსთა შორისი სხვაობა დაბალანსდება შესაბამისი ცვლილების ველებით (იხილეთ მე-3 და მე-11 სტრიქონები). ერთი სესხის ჭრილში კურსის ეფექტით ცვლილების ველები (3, 11) პერიოდზე შეივსება მხოლოდ ზრდაში ან შემცირებაში.	
1	**საწყისი ბალანსი**	უმოქმედო სესხების საწყისი ბალანსი
2	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების ზრდა	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების ზრდა, საკრედიტო რისკის დონის ზრდის შედეგად
3	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების ზრდა, ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების ზრდა, ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად
4	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება
5	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, საკრედიტო რისკის დონის შემცირების გზით	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, საკრედიტო რისკის დონის შემცირების შედეგად
6	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, ნაწილობრივი ან სრული დაფარვის გზით	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, სესხების ნაწილობრივი ან სრული დაფარვის გზით. ასევე გაითვალისწინება რეგულარული შენატანები და წინსწრებით დაფარვები.
7	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, მათი ჩამოწერის გზით	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების ჩამოწერის გზით
8	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, უზრუნველყოფის დასაკუთრების გზით	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, უზრუნველყოფის დასაკუთრების გზით
9	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, მათი გაყიდვის გზით	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, სესხების გაყიდვის გზით
10	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, სხვა ცვლილებით	სხვა ბალანსის რეკონსილაციისთვის საჭირო გატარებები
11	პერიოდის მანძილზე უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად	უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირება, ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად
12	**ბალანსი პერიოდის ბოლოს**	უმოქმედო სესხების ბალანსი პერიოდის ბოლოს
	უზრუნველყოფის დასაკუთრების გზით უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირებასთან დაკავშირებული წმინდა კუმულატიური ამოღება	აღირიცხება უზრუნველყოფის დასაკუთრების მომენტში მისი მთლიანი ღირებულება.
	სესხების გაყიდვის გზით უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირებასთან დაკავშირებული წმინდა კუმულატიური ამოღება	აღირიცხება ფულადი სახსრების წმინდა კუმულატიური ამოღება(შემცირებული სესხის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით)
	სესხებზე სხვა ცვლილებების გზით უმოქმედოდ კლასიფიცირებული სესხების შემცირებასთან დაკავშირებული წმინდა კუმულატიური ამოღება	აღირიცხება ფულადი სახსრების წმინდა კუმულატიური ამოღება(შემცირებული სხვა ცვლილებებთან დაკავშირებული ხარჯებით), ასეთის არსებობის შემთხვევაში.
	ცხრილი "22"	
	შეივსება სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი ღირებულება, გარესაბალანსო ვალდებულებებისთვის ნომინალური ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე, განაწილებული მიკრობანკის IFRS 9-ს საკრედიტო რისკის დონის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის	
1	ცენტრალური ბანკები	ცენტრალური ბანკები
2	მთავრობები	ცენტრალური მთავრობები, სახელმწიფო ან რეგიონული მთავრობები და ადგილობრივი მთავრობები, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სამთავრობო არაკომერციული საწარმოების ჩათვლით. სოციალური დაზღვევის ფონდები; საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროკავშირი, IMF, BIS (Bank for International Settlements).
3	საკრედიტო ინსტიტუტები	ბანკები, მიკრობანკები და მრავალმხრივი ბანკები.
4	სხვა ფინანსური კორპორაციები	ყველა საფინანსო კორპორაცია და კვაზი კორპორაცია, როგორიცაა საინვესტიციო ფირმები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, კოლექტიური საინვესტიციო კომპანიები, კლირინგ ცენტრები და დარჩენილი ფინანსური შუამავლები. გარდა საკრედიტო ინსტიტუტებისა.
5	არაფინანსური კორპორაციები	კორპორაციები, კვაზი კორპორაციები და ყველა იურიდიული პირი, რომლებიც არ არიან ფინანსურ შუამავლები, თუმცა ჩართულები არიან კომერციული საქონლის წარმოებაში და არაფინანსურ მომსახურებაში.
6	შინამეურნეობები	ფიზიკური პირები ან პირთა ჯგუფები, როგორც საქონლისა და არაფინანსური მომსახურების მწარმოებლები და მომხმარებლები, მხოლოდ საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის, და როგორც კომერციული საქონლისა და არაფინანსური და ფინანსური მომსახურების მწარმოებლები, იმ პირობით, რომ მათი საქმიანობა არ არის კვაზი კორპორაციების საქმიანობა. არაკომერციული ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეობებს, და რომლებიც ძირითადად ჩართულნი არიან არაკომერციული საქონლის წარმოებაში და მომსახურების მიწოდებაში, ცალკეული შინამეურნეობების ჯგუფებისთვის.
	ცხრილი "23"	
	სესხების მთლიანი ღირებულება, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების მთლიანი ღირებულების, სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტით უზრუნველყოფილი სესხების მთლიანი ღირებულების	
1.1	უზრუნველყოფილი სესხები	სესხი რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო ან საფინანსო ინსტიტუტების გარანტიით, უძრავი ან მოძრავი ქონებით. სესხი ჩაითვლება უზრუნველყოფილად მიუხედავად უზრუნველყოფის მოცულობისა.
1.1.1	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	სესხი რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. სესხი ჩაითვლება უზრუნველყოფილად მიუხედავად უზრუნველყოფის მოცულობისა.
1.1.1.1	LTV ≤70%	სესხების განაწილება სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით. უზრუნველყოფაში გაითვალისწინება მხოლოდ უძრავი ქონება. უზრუნველყოფის ღირებულებად მოიაზრება მისი საბაზრო ღირებულება. LTV დანგარიშებისას გათვალისწინება ამორტიზებული ღირებულება.
1.1.1.2	LTV >70% ≤85%	
1.1.1.3	LTV >85% ≤100%	
1.1.1.4	LTV >100%	
1.2	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უზრუნველყოფილ სესხებზე	1.1 ველში შემავალი უზრუნველყოფილი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი IFRS 9-ის შესაბამისად, არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხების აუთვისებელ ნაწილზე
1.3.1	უზრუნველყოფის ღირებულება - მინიმუმი სესხის მთლიან ღირებულებასა და უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას შორის	მინიმუმი სესხზე დაგირავებული უძრავი და მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასა და სესხის მთლიან ღირებულებას შორის.
1.3.1.1	უზრუნველყოფის ღირებულება (უძრავი ქონება) - მინიმუმი სესხის მთლიან ღირებულებასა და უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას შორის	მინიმუმი სესხზე დაგირავებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასა და სესხის მთლიან ღირებულებას შორის.
1.3.2	უზრუნველყოფის ღირებულება - სესხის მთლიანი ღირებულების ზემოთ	დაგირავებული უძრავი და მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, შესაბამისი სესხის მთლიანი ღირებულების ზემოთ.

1.3.2.1	უზრუნველყოფის ღირებულება (უძრავი ქონება) - სესხის მთლიანი ღირებულების ზემოთ	დაგირავებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, შესაბამისი სესხის მთლიანი ღირებულების ზემოთ.
1.4	სახელმწიფოს, სახელმწიფო დაწესებულების გარანტიით უზრუნველყოფილი სესხები	მინიმუმი გარანტიის საბაზრო ღირებულებასა და სესხის მთლიან ღირებულებას შორის.
1.5	მიკრობანკის, კომერციული ბანკის ან/და საფინანსო ინსტიტუტის გარანტიით უზრუნველყოფილი სესხები	მინიმუმი გარანტიის საბაზრო ღირებულებასა და სესხის მთლიან ღირებულებას შორის.
	ცხრილი "24"	
	სესხების და მათი მოსლაოდნელი საკრედიტო ზარალის განაწილება მათი კლასიფიკაციის და დაფარვის წყაროს მიხედვით. სექტორების განმარტებები იხილეთ ზოგადი განმარტებების ცხრილში 9.01-9.26 პუნქტებში. სესხების კლასიფიკაცია მოხდება ბანკის IFRS 9-ის საკრედიტო რისკის დონეების	
	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	IFRS 9-ის შესაბამისად. არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხების აუთვისებელ ნაწილზე
	ცხრილი "25"	
	სესხები და კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი ღირებულება, გარესაბალანსო ვალდებულებების ნომინალური ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე, განაწილებული უზრუნველყოფის მიხედვით. ორი ან მეტი უზრუნველყოფის შემთხვევაში აქტივის	
	ცხრილი "26"	
1	სატრანსპორტო სესხები	სატრანსპორტო საშუალების შეძენის მიზნობრიობით გაცემული, სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები. სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული სესხები აღირიცხება სამომხმარებლო სესხების ველში.
2	სამომხმარებლო სესხები	სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული სესხები.
3	სწრაფი სესხები (Pay Day Loans)	გადამხდელუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემული მცირე ზომის, მაღალპროცენტიანი არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, რომელზეც ხშირად კლიენტი პროცენტის ნაცვლად ყოველთვიურად იხდის ფიქსირებულ საკომისიოს.
4	მომენტალური განვადება	საყოფაცხოვრებო ნივთების, ტექნიკისა და მომსახურების განვადებით შეძენის მიზნობრიობით გაცემული სესხები.
5	ოვერდრაფტები	სადებეტო ანგარიშზე არსებული სანქცირებული უარყოფითი ლიმიტი, რომელიც განისაზღვრება კლიენტის შემოსავლის მიხედვით, მათ შორის, არასანქცირებული უარყოფითი ლიმიტებიც.
6	საკრედიტო ბარათები	ბარათზე დაშვებული რევოლვირებადი საკრედიტო ლიმიტი, მათ შორის საკრედიტო ბარათებზე არსებული არასანქცირებული უარყოფითი ლიმიტებიც.
7	იპოთეკური სესხები	უძრავი ქონების შეძენა/მშენებლობა/რემონტის მიზნობრიობით გაცემული უძრავი ქონებით/ფულადი სახსრებით/თავდებობით/სხვა ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, რომელზეც მიკრობანკის მხრიდან ხდება მიზნობრიობის კონტროლი.
7.1	იპოთეკური სესხები - დასრულებული უძრავი ქონების შეძენა	დასრულებული უძრავი ქონების და მიწის შეძენის მიზნობრიობით გაცემული სესხები.
7.2	იპოთეკური სესხები - მშენებლობა, მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენა	მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენის ან მშენებლობის მიზნობრიობით გაცემული სესხები.
7.3	იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	რემონტის მიზნობრიობით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები.
8	საცალო ლომბარდული სესხები	ძვირფასი ლითონებითა და ქვებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო მიზნობრიობით გაცემული ლომბარდული სესხების პორტფელი.
9	სტუდენტური სესხები	სესხი, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს უმაღლესი და პროფესიული განათლების გადასახადის დაფინანსება.
10.1	პენსიის ან სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემლის გათვალისწინებით გაცემული სესხები	საკრედიტო პროდუქტი, რომლის დაფარვის ძირითადი წყარო არის სახელმწიფო პენსია ან სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემელი.
	სესხების ძირი თანხა	სესხების მიმდინარე საკონტრაქტო ძირი თანხა
	სესხების მთლიანი ღირებულება	სესხების მთლიანი ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე.
	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი IFRS 9-ის შესაბამისად, არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხების აუთვისებელ ნაწილზე
	სესხების რაოდენობა	პორტფელში არსებული სესხების რაოდენობა. რაოდენობაში არ გაითვლაისწინება სესხები 0 ნაშთით.
	საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კვარტლის შიგნით გაცემულ სესხებზე	კვარტლის შიგნით გაცემული სესხების ძირი თანხის მიხედვით დათვლილი საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.
	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კვარტლის შიგნით გაცემულ სესხებზე	კვარტლის შიგნით გაცემული სესხების ძირი თანხის მიხედვით დათვლილი საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. თუ სესხზე დაიანგარიშება ერთზე მეტი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, უნდა მოხდეს მათ შორის მაქსიმალურის გათვალისწინება. ამასთან, არ გაითვალისწინება ვალუტის გაუფასურების გათვალისწინებით დათვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.
	საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი სესხის ნაშთზე	სესხის ძირი თანხის მიხედვით დათვლილი საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი.
	სესხების საშუალო შეწონილი ვადიანობა სესხის ნაშთზე დარჩენილი ვადის მიხედვით (თვეებში)	სესხების სასესხო ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობა (ძირი თანხის მიხედვით საშუალო შეწონილი). აღნიშნულ ველში არ შედის ინფორმაცია იმ სესხებზე, რომელთა საბოლოო საკონტრაქტო დაფარვის ვადა გასულია ანგარიშგების თარიღისათვის.